სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

20 თებერვალი 2025

N 21/1315

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

მის: მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7
ელ. ფოსტა: info@mtskheta.gov.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №400 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბიწმენდში მდ. ახატნისხევის მარცხენა ნაპირზე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2025 წლის 20 იანვრის №21/235 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის წარმოდგენილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ ინფორმაცია, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;
- სკრინინგის განცხადებაში კვლავ დასაზუსტებელია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ დგინდება დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ახალი ნაპირსამაგრი ნაგებობის (რკინაბეტონის კედელი) მოწყობას, თუ არსებულის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტში (პროექტის შემადგენლობა) მითითებულია, რომ პროექტი მოიცავს მდ. ახატნისხევის ნაპირსამაგრი რკინაბეტონის კედლის მოწყობას გასულ წელს მოწყობილი რკინაბეტონის გაგრძელებაზე, ასევე, მდ. ახატნისხევის გაწმენდას ჭარბი ნატანისაგან და საპროექტო რკინაბეტონის კედელსა და არსებულ სამანქანო გზამდე მდ. ახატნისხევის კალაპოტიდან ამოღებული ნატანით შევსებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა თავებში (მშენებლობის ორგანიზების წინაპირობები, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო ღონისძიებათა მოკლე დახასიათება, მშენებლობის განხორციელების გეგმა, მშენებლობის მართვის ორგანიზება და სხვა) განხილულია სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ხოლო მდ. ახატნისხევის ჭარბი ნატანისაგან გაწმენდის, საპროექტო რკინაბეტონის კედელსა და არსებულ სამანქანო გზამდე მდ. ახატნისხევის კალაპოტიდან ამოღებული ნატანით შევსების, ასევე, რკინაბეტონის კედლის სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის. გარდა ზემოაღნიშნულისა, „მშენებლობის გრაფიკის“ თავში მითითებულია წყალსადენის სისტემის მოწყობა, ხოლო „მშენებლობის განხორციელების გეგმის“ და „მშენებლობის გრაფიკის“ თავებში სამუშაოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მოცემული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი სამუშაოების აღწერით, ასევე, გამოყენებული ტექნიკისა და სამუშაოების ხანგრძლივობის მითითებით;

- საპროექტო ნაპირდამცავი ნაგებობის განივ კვეთებზე დატანილი უნდა იქნას მდინარის საანგარიშო დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეები;
- მდინარე ახატნისხევის საანგარიშო მაქსიმალური დატბორვის დონეების განსაზღვრისას, მოცემული უნდა იყოს განივი კვეთების შესაბამისი დატბორვის დონეები აბსოლუტურ ნიშნულებში;
- კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმის გაანგარიშებისას გადასამოწმებელია ფორმულაში შემავალი სიდიდეების სისწორე. მაგალითად, კალაპოტის ამგები მყარი მასალის საშუალო დიამეტრის გამოთვლის დროს მიღებულია 0,035 მ მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც პროექტში მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით ტოლი უნდა იყოს 0,203-ის და ა.შ. შესაბამისად, საჭიროა მოხდეს შესწორება და პროექტის კორექტირება;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე, საქმიანობის განხორციელებით შესაძლო ზემოქმედებაზე, ასევე, აღნიშნული ზემოქმედების პრევენციის საკითხებზე, რაც შეუძლებელს ხდის ბიომრავალფეროვნების კუთხით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას.

აქვე გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება გაუმართავია, შეიცავს ტექნიკურ და შინაარსობრივ უზუსტობებს და არ შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაბამისად, საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე, საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/1315-21-2-202502201050

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE